პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

ბაკალავრიატში სწავლის უფლება აქვს მხოლოდ სრული ზოგადი განათლების დამადასტუ¬რებელი სახელმწიფო სერტიფიკატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მფლობელ პირს, რომელიც ჩაირიცხება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამავდროულად სავალდებულოა რუსული ენის ცოდნა B2 დონეზე, რაც დასტურდება ატესტატით რუსულ ენაზე, სერთიფიკატით ან სტუ-ში გასაუბრების შედეგად.

საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართ¬ველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე.

პროგრამის მიზანია:

- შესძინოს სტუდენტს საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი კონცეფციების, თეორიების ინსტიტუტების, სისტემაში მიმდინარე პოლიტიკური, ეკონომიკური, სამართლებრივი, სოციალური, კულტურული, ეკოლოგიური, ინტეგრაციული, რეგიონალური, გლობალური და დემოკრატული პროცესების ფართო თეორიული ცოდნა;
- გამოუმუშავოს სტუდენტს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში არსებული ამოცანებისა და პრობლემების გადაჭრის, და ასევე, წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად, დამოუკიდებელი სამუშაოს შესრულებისათვის პრაქტიკული უნარები;
- მოამზადოს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში არსებული შრომის ბაზრის მოთხოვნებთან თავსებადი კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებული, რომელსაც ექნება უწყვეტი პროფესიული განვითარებისა და შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების საფუძველი.

სწავლის შედეგები/კომპეტენტურობები (ზოგადი და პროფესიული)

1. აღწერს საერთაშორისო ურთიერთობების თეორიებს, პრინციპებს და ძირითად კონცეფციებს სფეროს ფართო ცოდნის საფუძველზე;
2. განმარტავს საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაში მიმდინარე პოლიტიკურ, ეკონომიკურ, საერთაშორისო სამართლებრივ, ინტეგრაციულ, სოციალურ კულტურულ, რეგიონალურ, გლობალურ და დემოკრატიულ პროცესებს, მათ კომპლექსურ ხასიათს;
3. განსაზღვრავს საერთაშორისო ურთიერთობებში წამოჭრილი პრობლემური საკითხების გადაწყვეტისათვის აუცილებელ მეთოდებს, მათ მიზეზ-შედეგობრივ კავშირსა და შესაძლო შედეგებს;
4. მოიძიებს საჭირო ინფორმაციას, საერთაშორისო ხასიათის დოკუმენტებს, წყაროებს, სამეცნიერო სიახლეებს ელექტრონული საბიბლიოთეკო სისტემების საშუალებით, წინასწარ განსაზღვრული ინსტრუქციის მიხედვით საერთაშორისო

ურთიერთობების სფეროში პრაქტიკული ხასიათის დავალების ეფექტურად შესრულებისა და პრეზენტაციისათვის;

5. აანალიზებს საერთაშორისო პოლიტიკის აქტუალურ საკითხებს, თანამედროვე გამოწვევებს და აყალიბებს დასაბუთებულ დასკვნებს;
6. მონაწილეობს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროსთან დაკავშირებული იდეების, პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების თაობაზე გამართულ დისკუსია/დებატებში თანამედროვე ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების გამოყენებით.
7. გეგმავს უწყვეტ პროფესიულ განვითარებას და განსაზღვრავს შემდგომი სწავლის საჭიროებებს.
8. იზიარებს საერთაშორისო ურთიერთობებში დამკვიდრებულ ეთიკის ნორმებს, პრაქტიკული საქმიანობისას სამართლიანობისა და დემოკრატიული ფასეულობების დაცვის აუცილებლობას.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასება ხდება 100 ქულიანი

სკალით. დადებითი შეფასებებია:

- **(A)** - ფრიადი - შეფასების 91-100ქულა;
- **(B)** - ძალიან კარგი - შეფასების 81-90ქულა;
- **(C)** - კარგი - შეფასების 71-80ქულა;
- **(D)** - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70ქულა;
- **(E)** - საკმარისი - შეფასების 51-60ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:

- **(FX)** - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლისუფლება;
- **(F)** - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვსშესასწავლი.

- საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში სტუ ვალდებულია დამატებითი გამოცდა დანიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში;

- სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა;

- დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში;

- დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, ან თუ სტუდენტი ვერ გადალახავს დასკვნით/დამატებით გამოცდაზე მინიმალური კომპეტენციის ზღვარს, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა;

- თითოეულ კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასების პროგრამული ნაწილი შედგება შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდისგან;

- შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში. კერძოდ, შუალედური შეფასების მაქსიმუმალური ქულაა არაუმეტეს 60, ხოლო დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულა - არანაკლებ 40;

- დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელმაც შუალედური შეფასებ(ებ)ის კომპონენტ(ებ)ში დააგროვა არანაკლებ მინიმალური დადებითი შეფასება სასწავლო კურსის პროგრამის შესაბამისად (ჯამში არანაკლებ 30 ქულა), ამასთან შეასრულა და დროულად ჩააბარა პროგრამით განსაზღვრული სამუშაოების მინიმუმი დოკუმენტური მასალის სახით;

- დეტალური ინფორმაცია მოცემულია შემდეგ ვებ-გვერდზე: https://gtu.ge/Study-Dep/Forms/Forms.php

სასწავლო კურსების ჩამონათვალი კრედიტების მითითებით

№	სასწავლო კურსი	კრედიტი
	არასპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები	
1.	წერითი და ზეპირი კომუნიკაციები	**5**
2.	ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები საერთაშორისო ურთიერთობებში	**4**
	არასპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები	
3.	ფილოსოფიის შესავალი	**5**
4.	საქართველოს ისტორია და კულტურა	
5.	მსოფლიო ცივილიზაციები	
6.	კრიტიკული აზროვნება	
7.	გამოყენებითი ფსიქოლოგია	
	უცხოური ენა (ინგლისური, ფრანგული ან გერმანული)	
8.	უცხოური ენა (ინგლისური) –B 1.1	**6**
9.	უცხოური ენა (ფრანგული) –B 1.1	
10.	უცხოური ენა (გერმანული) - B 1.1	
11.	უცხოური ენა (ინგლისური) –B1.2	**6**
12.	უცხოური ენა (ფრანგული) - B1.2	
13.	უცხოური ენა(გერმანული) - B1.2	
14.	უცხოური ენა (ინგლისური) – B2.1	**5**
15.	უცხოური ენა (ფრანგული) – B2.1	
16.	უცხოური ენა (გერმანული) – B2.1	
17.	უცხოური ენა (ინგლისური) – B2.2	

18.	უცხოური ენა (ფრანგული) – B2.2	**5**
19.	უცხოური ენა (გერმანული) – B2.2	
	სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები	
20.	შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში	**5**
21.	ეკონომიკის პრინციპები	**5**
22.	შესავალი პოლიტიკის მეცნიერებაში	**5**
23.	სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლები	**4**
24.	საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის ისტორია	**5**
25.	საერთაშორისო ურთიერთბების თეორია	**6**
26.	შესავალი საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის მეთოდებში	**4**
27.	საერთაშორისო საჯარო სამართალი	**5**
28.	საერთაშორისო ინტეგრაციული პროცესები და საერთაშორისო ორგანიზაციები	**5**
29.	შესავალი რეგიონმცოდნეობაში	**5**
30.	თანამედროვე დიპლომატია: თეორია და პრაქტიკა	**5**
31.	საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები	**6**
32.	ევროკავშირის ინსტიტუტები და საგარეო პოლიტიკა	**5**
33.	საქართველო საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაში	**4**
34.	ნატო საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაში	**5**
35.	მსოფლიო პოლიტიკა	**5**
36.	თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები	**5**
37.	საერთაშორისო მოლაპარაკების ხელოვნება	**5**
38.	თანამედროვე საერთაშორისო უსაფრთხოება	**5**
39.	ეკონომიკური დიპლომატია	**5**
40.	აშშ-ს საგარეო პოლიტიკა	**5**
41.	საერთაშორისო კონფლიქტები და მათი დარეგულირების მეთოდები	**5**
42.	ჩინეთის საგარეო პოლიტიკა	**5**
	ქართული ენა (20 ECTS) **შენიშვნა:** სტუდენტს, რომელიც ადასტურებს ქართული ენის ცოდნას სავალდებულო ტესტირების, გასაუბრების, ან სხვა რაიმე დოკუმენტის წარდგენის საფუძველზე, უფლება აქვს ქართული ენის 20 კრედიტის (ECTS) ნაცვლად შესაბამის III, IV, V და VI სემესტრებში აირჩიოს სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები.	
43.	ქართული ენა 1	**5**
44.	ქართული ენა 2	**5**
45.	ქართული ენა 3	**5**
46.	ქართული ენა 4	**5**

	მეორე უცხოური ენა (ინგლისური, ფრანგული, გერმანული, იაპონური ან ჩინური)	
47.	უცხოური ენა (ინგლისური) – A1.1	**5**
48.	უცხოური ენა (ფრანგული)-A 1.1	
49.	უცხოური ენა (გერმანული) - A1.1	
50.	უცხოური ენა (იაპონური) –A 1.1	
51.	უცხოური ენა (ჩინური) – A1.1	
52.	უცხოური ენა (ინგლისური) – A1.2	**5**
53.	უცხოური ენა (ფრანგული) –A 1. 2	
54.	უცხოური ენა (გერმანული) - A1.2	
55.	უცხოური ენა (იაპონური) –A 1. 2	
56.	უცხოური ენა (ჩინური) – A1.2	
57.	უცხოური ენა (ინგლისური) – A2.1	**5**
58.	უცხოური ენა (ფრანგული) –A 2. 1	
59.	უცხოური ენა (გერმანული) – A2.1	
60.	უცხოური ენა (იაპონური) –A 2.1	
61.	უცხოური ენა (ჩინური) – A2.1	
62.	უცხოური ენა (ინგლისური) – A2.2	**5**
63.	უცხოური ენა (ფრანგული) –A 2. 2	
64.	უცხოური ენა (გერმანული) – A2.2	
65.	უცხოური ენა (იაპონური) –A 2.2	
66.	უცხოური ენა (ჩინური) – A2.2	
	სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები	
67.	შესავალი პოლიტიკურ და სამართლებრივ აზროვნებაში	**5**
68.	პოლიტიკური გეოგრაფია	**5**
69.	მასობრივი საინფორმაციო საშუალებების როლი საერთაშორისო ურთიერთობებში	**5**
70.	თურქეთი საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაში იკითხებოდა	**5**
71.	პოლიტიკური იდეოლოგიები	**5**
72.	ევროპის ქვეყნების პოლიტიკური სისტემები იკითხებოდა	**5**
73.	ევროკავშირის სამართალი იკითხებოდა	**5**
74.	ეთიკა და პოლიტიკური პასუხისმგებლობა საერთაშორისო ურთიერთობებში	**5**

75.	ლიდერობა და პოლიტიკური ლიდერები	**5**
76.	გლობალური ეკოლოგიური პოლიტიკა და გარემო	**5**
77.	დემოკრატია და დემოკრატიზაცია	**5**
78.	აშშ და საქართველოს ურთიერთობები	**5**
79.	საერთაშორისო საქმიანი ეტიკეტი და დიპლომატიური პროტოკოლი	**5**
80.	კანადის ისტორია, პოლიტიკა და ეკონომიკა იკითხებოდა	**5**
81.	იაპონია საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაში	**5**
82.	საერთაშორისო ურთიერთობები აზიაში	**5**
83.	რუსეთის საგარეო პოლიტიკა	**5**
84.	ირანი და ახლო აღმოსავლეთი: პრობლემები და პერსპექტივები	**5**
85.	გენდერული საკითხები გლობალურ პოლიტიკაში	**5**
86.	საერთაშორისო ტერორიზმი	**5**
87.	ისლამის თანამედროვე ტენდენციები ევროპაში	**5**
88.	Contemporary Trends of Islam in Europe	**5**
89.	აშშ-ს ეკონომიკა	**5**
90.	აშშ-ს მთავრობა და პოლიტიკა	**5**
91.	საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი	**4**
92.	თანამედროვე საერთაშორისო მიგრაცია	**5**
93.	Modern International Migration	**5**
94.	კიბერ ომი და ტრანსნაციონალური საფრთხეები	**4**
95.	ჩინეთის ეკონომიკა	**5**
96.	აშშ-ს ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია	**4**
	პრაქტიკული კომპონენტი	
97.	პრაქტიკა	5
	კვლევითი კომპონენტი	
98.	საბაკალავრო ნაშრომი	6